საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



თბილისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის შეფასება

გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედნებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

ნაწილი I

თბილისი
2019

პროექტი ხორციელდება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

კვლევის ყდაზე გამოყენებული ფოტოს წყაროა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. სურათზე გამოსახულია გუდიაშვილის მოედანზე აღმოჩენილი XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა - კერამიკული ნაწარმი, სპილენძის აზარფეშა და სპილენძის თეფში.

ავტორი: **ცირა ელისაშვილი**
ნინო კორძახია

რეცენზანტი: **ნატო ცინცაბაძე**
ნინო ინაიშვილი

რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **სულხან სალაძე**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4

გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია 5

ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია 14

გამოვლენილი პრობლემები 22

შექმნილი რეალობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი 24

ინსტიტუციური პრობლემები 24

პრობლემები საბჭოსთან მიმართებით 25

სტრატეგიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები 26

საკანონმდებლო პრობლემები 27

სპეცრეგლამენტები და სახელმძღვანელო მითითებები 28

დასკვნა 28

რეკომენდაციები 29

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. დღეს გაცილებით მეტს საუბრობენ ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და აღდგენაზე, ვიდრე აქამდე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა არა მხოლოდ გადარჩენა ან უბრალოდ აღდგენა, არამედ ისეთი რეაბილიტაცია, რომელიც რეალურად შეუნარჩუნებს ძეგლებს ისტორიულ სახეს და მათზე სამუშაოების ჩატარება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება.

„ტფილისის ჰამქრის“ ექსპერტების მიერ 2018 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა ააიპ თბილისის განვითარების ფონდის მიერ წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოს მონიტორინგი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან მიმართებით. დაკვირვება ხორციელდებოდა როგორც გუდიაშვილის, ისე ორბელიანის მოედნის მიმდებარე ქუჩებზე წარმოებულ სამუშაოებზე. წინამდებარე თავში, პირველ ეტაპზე, განხილულია ორივე არეალის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა, ხოლო შემდეგ გაანალიზებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების ინსტიტუციური, სტრატეგიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი პრობლემები. კვლევის ბოლოს კი წარმოდგენილია დასკვნა და „ტფილისის ჰამქრის“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა:

- დეტალური ფოტოფიქსაცია;
- სარეაბილიტაციო სამუშაოს ხარისხის კონტროლი.
- არქეოლოგიური სამუშაოების ზედამხედველობა - ძეგლის ისტორიული და ავთენტური ფენების მაქსიმალურად შენარჩუნების თვალსაზრისით;

ასევე შემოწმდა:

- მიმდინარე სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობა შეთანხმებულ პროექტებთან;
- ხდებოდა თუ არა ახლად გამოვლენილი გარემოებების პარალელურად საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
- გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა წარმოებულ სამუშაოებთან.

კვლევის პროცესში „ტფილისის ჰამქრის“ ექსპერტებს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობა შეხვდათ. კერძოდ, არც ერთ მიმართვაზე ფონდის მხრიდან არ ყოფილა დროული და ადეკვატური პასუხი - ორი წერილი დღემდე უპასუხოა, მესამეს პასუხი კი ბუნდოვანი და არაფრის მთქმელია. აღნიშნულის გამო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით, ფონდის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. გარდა ამისა, მიზანმიმართულად გაჭიანურდა და არ იყო მოწოდებული ფონდიდან გამოთხოვნილი დოკუმენტაცია (ობიექტების რეაბილიტაციის შეთანხმებული პროექტების ასლები, ხარჯთაღრიცხვები, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები). აღნიშნულის გამო, შეუძლებელი გახდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოს პროექტთან შესაბამისობის, გეგმა-გრაფიკებისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე არსებული მონაცემების შესწავლით კი დადგინდა, რომ ფონდის მიერ წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვების მიღება, როგორც წესი, პროცედურების დარღვევით მიმდინარეობს. ასევე, არ ხდება ნებართვიანი პროექტების კორექტირება და შესაბამის სამსახურთან განმეორებითი შეთანხმება მშენებლობის პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით.

უპასუხოდ დარჩა აგრეთვე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ფონდში გაგზავნილი მოთხოვნა „ტფილისის ჰამქრის“ ექსპერტების სამშენებლო მოედნებზე დაშვების შესახებ. ადგილზე ობიექტების დათვალიერებას, თითქოსდა უსაფრთხოების მიზნით, წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც სამშენებლო ორგანიზაციის, ისე ფონდის თანამშრომლები. მრავალი მცდელობის შედეგად სპეციალისტებმა მაინც მოახერხეს მიმდინარე სამუშაოზე დაკვირვება, ზოგადი სიტუაციის აღწერა და არსებული პრობლემების გამოვლენა.

გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია

გუდიაშვილის მოედანზე არსებული შენობების საძირკვლების კონსტრუქციული გამაგრებისა და რკინა-ბეტონის ფილების მოსაწყობად წარმოებს სარდაფების გაწმენდის და მიწის გატანის სამუშაო.

სარდაფების ნიშნულზე ჩატარებული გაწმენდის, მიწის სამუშაოების და ამოშენებული ღიობების გახსნის შედეგად გამოჩნდა აქამდე დაფარული სათავსები, პროდუქტების შესანახი საცავი - ე.წ. მაცივარი, ძველი ნაგებობების ნაშთები, მზიდი კედლის მოცულობაში მოწყობილი შიდა კიბე, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები, 3 თონე, ათამდე ქვევრი, სხვადასხვა ზომის მოჭიქული კერამიკული ჭურჭელი, ლითონის აზარფეშა, ჭრაქები.

თბილისის მერის მოადგილეებთან შეხვედრაზე (ირაკლი ბენდელიანი, სოფიო ხუნწარია) „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ გუდიაშვილის მოედანზე მოეწყოს „გუდიაშვილის მოედნის ისტორიის მუზეუმი“, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც ახლად გამოვლენილი არქეოლოგიური არტეფაქტები, ასევე 2007 წლიდან მოედნის დასაცავად წარმოებული ურბანული აქტივობის ფოტო-გამოფენა. ამ იდეას დაემთხვა ICOMOS საქართველოს, საქართველოს ეროვნული ფონდისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების ქ. თბილისის მერისთვის შეთავაზებული ინიციატივა გუდიაშვილის მოედანზე მდებარე ყოფილი ბიბლიოთეკის შენობაში მუზეუმის მოწყობის შესახებ, სადაც განთავსდება სამუშაოს წარმოებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.



არქეოლოგიური ფენების აღმოჩენისა და იატაკის ნიშნულის დაწევის გამო, დღის წესრიგში დადგა ავარიული შენობების კონსტრუქციული გამაგრების პროექტის ცვლილების აუცილებლობის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი შეხვდა თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს, გააცნო არსებული მდგომარეობა და ესაუბრა პროექტის კორექტირების აუცილებლობაზე. საბოლოოდ, პროექტის ავტორების - კონსტრუქტორებისა და არქიტექტორ-რესტავრატორების ერთობლივი გადაწყვეტილებით, რკინა-ბეტონის ფილის ნაცვლად მოეწყობა ლენტური საძირკვლები, რათა შენარჩუნდეს გამოვლენილი არქეოლოგიური ფენები, შემდგომში მუზეუმის მოწყობის მიზნით.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონისა“ და ICOMOS საქართველოს მიერ დამუშავებული „გუდიაშვილის მოედნის კონსერვაციის გეგმის“ მოთხოვნების მიუხედავად, რაც ქალაქის ისტორიულ ნაწილში მიწის სამუშაოს დროს არქეოლოგიურ ზედამხედველობასა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოებას გულისხმობს, „თბილისის განვითარების ფონდმა“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ უზრუნველყო ობიექტზე არქეოლოგის მოვლინება და შესაბამისი დაფინანსება. აღნიშნულის შესახებ მონიტორინგის ჯგუფმა აცნობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, რომლებმაც, თავის მხრივ, მოითხოვეს გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე სამუშაოების გაკონტროლება გამოცდილი არქეოლოგების მიერ. მონიტორინგის ჯგუფის მოთხოვნის შედეგად, ობიექტზე მიავლინეს სააგენტოს არქეოლოგი, რომელიც თვალყურს ადევნებდა მიწის სამუშაოებს. მოძიებული არტეფაქტები დროებით გადაიტანეს სააგენტოში, სადაც უნდა მომხდარიყო მათი გაწმენდა, ფოტოფიქსაცია და თითოეულზე საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

ამჟამად, გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე სამუშაოებზე არქეოლოგის ზედამხედველობა აღარ ხორციელდება, არავინ ადევნებს თვალყურს მიწის სამუშაოებს. მოძიებული არტეფაქტები უსისტემოდ, ფოტოფიქსაციისა და აღრიცხვის გარეშეა დასაწყობებული ერთ-ერთ შენობაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ამა წლის 16 აგვისტოს „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი ცირა ელისაშვილი შეხვდა თბილისის მერის მოადგილეებს - სოფიო ხუნწარიას და ირაკლი ბენდელიანს, რომლებსაც მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღემდე არ არსებობს წერილობითი დასკვნა გუდიაშვილის მოედანზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა და ფენების შესახებ, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარმოედგინა. ითქვა, რომ სავარაუდოდ თბილისის განვითარების ფონდმა, ამ დასკვნის გარეშე გააგზავნა ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში კონსტრუქციული გამაგრების პროექტის შეცვლის მოთხოვნა, რაც ბიურომ არ დააკმაყოფილა. „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ფონდს კორექტირებულ პროექტთან ერთად უნდა წარედგინა განმარტება, თუ რატომ გახდა საჭირო კონსტრუქციული გამაგრების მეთოდის (არმირებული ფილის ნაცვლად ლენტური საძირკველი) შეცვლა და ეს დასაბუთება სწორედ არქეოლოგიური დასკვნის, გ.ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტისა და ხელოვნებათმცოდნეების მიერ ფონდის სახელზე გაგზავნილი წერილების საფუძველზე უნდა მომზადებულიყო. აღნიშნული შეხვედრიდან მეორე დღეს, პრობლემური საკითხის განსახილველად, მერიაში მიიწვიეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები - დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი და უწყების იურისტი. „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელმა მათაც მიაწოდა დეტალური ინფორმაცია და აღინიშნა, რომ მოედნის ტერიტორიაზე ერთ-ერთ შენობაში განთავსებულია ფონდის დროებითი ოფისი, სადაც სამ ყუთში ჩაწყობილია მოჭიქული კერამიკული მასალა, თიხის 4 ქოთანი და დოქი, რამდენიმე ერთეული საჭრაქე, ლითონის დაზგა (იხ. სურ. 50; 51; 52, 53) და ეს მასალა მეთვალყურეობის გარეშეა დატოვებული, ვინაიდან, მოედანზე არქეოლოგიური ზედამხედველობა აღარ ხორციელდება. ამასთან, ყუთებში განთავსებული ნივთები არ არის დანომრილი, დამისამართებული და თემატურად დაჯგუფებული, რაც ართულებს და, რიგ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდის კერამიკული მასალის რესტავრაციას. ყველა იმ ნივთზე, რომელიც სააგენტოშია გადატანილი, არ გაფორმებულა მიღება-ჩაბარების აქტი. სააგენტოს მისამართით

გამოითქვა საყვედური, რომ მათი არქეოლოგი თვითნებურად არჩევს არქეოლოგიურ არტეფაქტებს და მხოლოდ მისი სუბიექტური შერჩევით გადააქვს სააგენტოში, მაშინ, როცა უკლებლივ ყველა ნივთი უნდა იყოს აღრიცხული და შესწავლილი. გასათვალისწინებელია, რომ მომავალში დაგეგმილია აღმოჩენილი მასალის განთავსება გუდიაშვილის მოედანზე დაფუძნებულ ახალ მუზეუმში, ამიტომ მნიშვნელოვანია ყველაფრის სათანადო პირობებში შენახვა და რესტავრაციის განხორციელება. მაგალითისთვის დასახელდა წინა დღით ახოსპირელის ჩიხი N1/3-ში გამოვლენილი არქეოლოგია, როდესაც მხოლოდ ერთი ქოთანი წაიღეს, ხოლო სხვა დანარჩენი მასალა ადგილზე დატოვეს (იხ. სურ. 54).

სურ. 50.

სურ. 51.

სურ. 52.

სურ. 53.

სურ. 54.

პაატა გაფრინდაშვილის განმარტებით, მიწოდებული ინფორმაცია მისთვის სიახლე იყო. ის დაეთანხმა „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლის პოზიციას და შეხვედრის მონაწილეებს აღუთქვა, რომ დააჩქარებდა არქეოლოგიური კვლევის დაწერის პროცესს და თავად გაუწევდა მეთვალყურეობას არქეოლოგიური საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვას.

აბესაძის ქ. N21-ში არსებული შენობის დემონტაჟის შედეგად გამოჩნდა არქეოლოგიური ფენები (იხ. სურ. 55). ამ პერიოდისთვის არქეოლოგთა მუდმივი ზედამხედველობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების დაპირების მიუხედავად, გუდიაშვილის მოედანზე კვლავ არ ხორციელდებოდა. ადგილზე აღმოჩნდა თონე, ერდო, მოკირწყლული ქვაფენილის ნიშნული და ქართული აგურით ამოყვანილი ნაგებობა, რომლის ფუნქციური დანიშნულებაც დასადგენია. სამუშაო პროცესი შეყოვნდა არქეოლოგის მოლოდინში. ობიექტზე მომუშავე მუშების ინფორმაციით, მათთან იყო მისული არქეოლოგი, დაათვალიერა ტერიტორია და მისი სუბიექტური აზრით - გამოვლენილი ობიექტების უმნიშვნელო ისტორიული ღირებულების გამო, სამშენებლო კომპანიას სიტყვიერად განუცხადა, რომ არქეოლოგიური ობიექტები დაეშალათ სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების მიზნით.

სურ. 55.

18 ოქტომბერს აბესაძის ქ. N21-ში მისულ „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელს დახვდა დაშლილი თონე (იხ. სურ. 56), თიხის ქოთანი და დოქი (იხ. სურ. 57). გარდა ამისა, ახოსპირელის ქ. N7/2-ში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს საძირკვლის ლენტური გამაგრება, მოხსნილი მიწის ფენებში აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის ნატეხები (იხ. სურ. 58).

სურ. 56.

სურ. 57.

სურ. 58.

„ტფილისის ჰამქრის“ წევრებმა აღნიშნული დეტალები, შენახვის და შემდგომში გუდიაშვილის მოედანზე მოსაწყობი მუზეუმისთვის გადაცემის მიზნით, გადაიტანეს უსაფრთხო ადგილას, რის შემდეგაც მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს თბილისის მერის მოადგილეები - ი.ბენდელიანი და ს.ხუნწარია. გადაწყდა კიდევ ერთი შეხვედრა სააგენტოს თანამშრომლებთან. შესაბამისად, 19 ოქტომბერს შედგა შეხვედრა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილესთან - დავით ლომიტაშვილთან და გამოითქვა წუხილი, რომ 2 შეხვედრის და არქეოლოგიური ზედამხედველობის საჭიროების მიუხედავად, გუდიაშვილის მოედანზე კვლავ პრობლემებია. დღემდე არ არის წარმოდგენილი წერილობითი დასკვნა უკვე გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტებსა და ფენებზე. ყველა არქეოლოგიური მასალა უნდა იყოს თემატურად დახარისხებული, დამისამართებული, დანომრილი და უკლებლივ ყველა არტეფაქტი გადატანილი სააგენტოში, შემდგომი კვლევის თუ რესტავრაციის მიზნით.

მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაო ხანგრძლივ დროსა და რესურსს საჭიროებს, შესაბამისად, აუცილებელია როგორც პროექტის, ისე ხარჯთაღრიცხვისა და გეგმა-გრაფიკის კორექტირება.

მოედნის გარშემო მდებარე შენობებიდან, ერთ-ერთი ყველაზე ავარიული საცხოვრებელი სახლია ლერმონტოვის ქუჩა N2. რთული კონსტრუქციული გამაგრების გარდა, აქ ნაწილობრივ დაშლა-გადაწყობის სამუშაოა ჩასატარებელი. ამიტომ „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლებისა და რესტავრატორების მოთხოვნით, შენობის ფასადიდან ფრთხილად მოიხსნა დეკორატიული ელემენტები და მასკარონები, წინასწარ მომზადებულ ყუთებში მოხდა მათი ჩაწყობა და რესტავრაციისთვის სახელოსნოში გადატანა. შენობის აღდგენა-გამაგრების შემდეგ ყველა დეტალი ფასადზე უნდა დაბრუნდეს.

აღსანიშნავია, რომ გუდიაშვილის მოედანი N2-ში მდებარე შენობაზე ამჟამად წარმოებს 2011-2012 წლებში ფონდის მიერ არასწორად ჩატარებული სამუშაოს შედეგების აღმოფხვრა (იხსნება ღიობების მოჩარჩოებები, რომლის გამოც საგრძნობლად იყო შეცვლილი ფანჯრების გაბარიტები, გადაეწყო და ლითონის გარსაცმელში ჩაისვა ფრონტონი.[1] მოხდა აგურის დაშლილი კედლების ამოყვანა).

მუშაობის პროცესში გამოვლინდა არაავთენტური მასალის გამოყენება.

კერძოდ, შენობის უკანა კედელი და პარაპეტის ნაწილი ამოყვანილ იქნა თურქული უხარისხო აგურით. „ტფილისის ჰამქრის“ ჯგუფის კატეგორიული მოთხოვნით, მოხდა ამ კედლის დემონტაჟი და ავთენტური აგურით ჩანაცვლება. რევიზიის შედეგად დადგინდა, რომ წლების განმავლობაში სახურავის გარეშე დარჩენილი მარცხენა ფლიგელის სართულშუა და აივნების კოჭების მდგომარეობა სავალალოა. ვინაიდან აღნიშნული კოჭების ჩანაცვლება ახალი მასალით დიდ პრობლემას წარმოადგენს, ფონდმა გადაწყვიტა, საჭირო სამშენებლო მასალა გადმოტანილიყო

[1] ფასადის დამაგვირგვინებელი, სამი მხრიდან ლავგარდნებით შემოსაზღვრული სიბრტყე;

ორბელიანის სახელობის მოედანზე დანგრეული შენობებიდან. პრობლემატურია ახოსპირელის I ჩიხში არსებული დაზიანებული მიწისქვეშა კომუნიკაცია (წყლის მილი), საიდანაც გამოსული წყალი ჩაედინება გუდიაშვილის მოედანი N6/1-ში მდებარე შენობის საძირკველში. სამი თვის განმავლობაში თბილისის განვითარების ფონდისა და GWP-ისთვის არაერთი მიმართვის მიუხედავად, GWP-ის წარმომადგენლები ობიექტზე არ გამოცხადებულან და პრობლემა დღემდე არ არის მოგვარებული.

რამდენიმე ობიექტზე სიტუაციას ართულებს უძრავი ქონების მესაკუთრე მოქალაქეების პრეტენზიები და სურვილები. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მათთან წინასწარ შეთანხმებული და მოწონებულია, სამშენებლო სამუშაოს წარმოებისას ახალი პრეტენზიებით მიმართავენ ფონდს (მაგალითად, სარდაფში დამატებითი ჩასასვლელის მოწყობა, არსებული ღიობების გაბარიტების ცვლილება, შიდა გეგმარების შეცვლა და სხვა). ძეგლთა დაცვითი პრინციპების თვალსაზრისით, ზოგჯერ სრულიად მიუღებელი მოთხოვნების შესრულებაზე თბილისის განვითარების ფონდი გარიგებაში შედის მოქალაქეებთან და ხშირ შემთხვევაში თანხმდება, რაც დაუშვებელია როგორც პროექტის, ისე შესრულების კუთხით და დამატებით ბევრ პრობლემას ქმნის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გუდიაშვილის მოედანზე სამუშაოს ასრულებს მეტწილად არაკვალიფიციური პერსონალი, რაც მშენებლობის ხარისხსა და ვადებზე პირდაპირ აისახება. წინასწარი შეთანხმების და გაფრთხილების მიუხედავად, სამშენებლო სამუშაოს პროცესში, ბეტონის ჩასხმის შედეგად, მაინც დაზიანდა და განადგურდა არქეოლოგიური ფენების ნაწილი.

კონსტრუქტორების რეკომენდაციით, მოხდა ერთი შენობის[2] სრული დემონტაჟი. „ტფილისის ჰამქრის“ შეფასებით, ამ საცხოვრებელი სახლის სარდაფის სართულის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. ამჟამად სამუშაოები მიმდინარეობს 9 ობიექტზე. ორ ცარიელ ლოკაციაზე განსაზღვრული ნაგებობების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ახოსპირელის ქუჩა N4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მიწის სამუშაოების დროს, გამოვლინდა გვიანი შუასაუკუნეების მარანი - სხვადასხვა ზომის რამდენიმე ქვევრით.

ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პირველადი დამუშავება - კერამიკული ნაწარმის გაწმენდა და ფოტოფიქსაცია. შემდგომ მოხდება ჩახაზვა, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი ანალოგების მოძიება და მათთან შედარება. თითოეული ჭურჭლიდან ანალიზისთვის აღებულია ძირზე არსებული მიწის ნიმუშები, რაც სპეციალისტებს ობიექტის დათარიღების საშუალებას მისცემს. ასევე, მოხდება აღმოჩენილი ლითონის ნაწარმის დამუშავება და შესასწავლად მკვლევარებისთვის გადაცემა. ზემოაღნიშნულ მარანში ასევე აღმოჩნდა დიდი, საშუალო და მცირე ზომის მოჭიქული სამი დოქი, საშუალო და მცირე ზომის ჭინჭილა. ხუთივე მათგანი ერთნაირად, მომწვანოდაა მოჭიქული. ისინი ზუსტად იმეორებენ ასევე გუდიაშვილის მოედანზე, ახოსპირელის ქ. N7/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში გამოვლენილ კერამიკულ ჭურჭელზე დატანილ დამღას, წვეროსანი მამაკაცის ანფასს. კერამიკული ჭურჭელი XVIII-XIXსს მიჯნით შეიძლება დათარიღდეს. კერამიკის გარდა, ქვევრში დაფიქსირდა ასევე სპილენძის აზარფეშა - გრძელტარიანი, ფართოპირიანი დიდი კოვზისებური ღვინის სასმისი და სპილენძის თეფში.

[2] ახოსპირელის პირველი ჩიხი #3;

ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია

გუდიაშვილის მოედნის გარდა, თბილისის განვითარების ფონდი სამშენებლო სამუშაოს აწარმოებს ათონელის ქუჩასა და ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

არაერთი მცდელობის მიუხედავად ათონელის, სობჩაკის, ფხოვისა და ფურცელაძის ქუჩებზე მდებარე სამშენებლო მოედნებზე, თითქოსდა უსაფრთხოების მიზნით, სპეციალისტების დაშვებას წინააღმდეგობას უწევენ როგორც სამშენებლო ორგანიზაციის, ისე ფონდის თანამშრომლები. ამიტომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის განვითარების ფონდს მიმართა შესაბამისი წერილით[3] და ობიექტებზე „ტფილისის ჰამქრის“ ექსპერტების დაშვება მოითხოვა.

გარდა ამისა, ფონდიდან გამოთხოვნილია სამშენებლო ობიექტების რეაბილიტაციის შეთანხმებული პროექტების ასლები, ხარჯთაღრიცხვები და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები, რათა დეტალურად შემოწმდეს როგორც პროექტთან შესაბამისობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ისე ფინანსური ანგარიშები.[4]

თბილისის განვითარების ფონდის მხრიდან კვლევისთვის საჭირო დოკუმენტაციის მოწოდება მიზანმიმართულად ჭიანურდება, რის გამოც ვერ ხერხდება გეგმა-გრაფიკისა და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოს შეთანხმებულ პროექტებთან შესაბამისობის შეფასება-მონიტორინგი. ასევე, შეუძლებელია იმის დადგენა, ხდება თუ არა საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება ახლად გამოვლენილი გარემოებების პარალელურად.

არსებული შეზღუდვის მიუხედავად, პროექტში ჩართულმა ექსპერტებმა მაინც მოახერხეს ორბელიანის მოედნის მიმდებარე რამდენიმე ობიექტის ნაწილობრივ ვიზუალური დათვალიერება. უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაცია შემაშფოთებელია.

---

[3] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის 2 აგვისტოს #გ-01/234-18 წერილი;
[4] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის 8 აგვისტოს #გ-04/131-18 და 2018 წლის 24 სექტემბრის #გ-04/206-18 განცხადებები;

რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის შერჩეული 24 ობიექტიდან სრული დემონტაჟი განხორციელდა და სრულად განადგურდა 8 შენობა; მოცულობის დიდი ნაწილი მონგრეული აქვს 4 ობიექტს. ხოლო იმ შენობებზე, რომლებიც ნგრევას გადაურჩა რეაბილიტაციის სამუშაო უხარისხოდ, მნიშვნელოვანი დანაკარგებითა და დარღვევებით მიმდინარეობს. გამოვლინდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. მათ შორის:

- პროექტანტების უმეტესობა არ არის არქიტექტორ-რესტავრატორი და არ იზიარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას. შესაბამისად, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ნაწილი მათი მხრიდან აღქმულია, როგორც დიდი სამშენებლო პოლიგონი რკინა-ბეტონის ახალი შენობებისთვის.

- ფონდის მიერ გაცემულ საპროექტო დავალებებში გამიზნულად მოთხოვნილი იყო პირველ ეტაპზე მხოლოდ ფასადების რესტავრაციის პროექტის დამუშავება და მხოლოდ მეორე ეტაპზე, როცა უკვე ფიზიკური სამუშაოები დაიწყო, მოხდა ინჟინერ-კონსტრუქტორების ჩართვა. ამის გამო, არქიტექტორებსა და კონსტრუქტორებს შორის ვერ შედგა სათანადო კომუნიკაცია, შეთანხმება, რეაბილიტაციისათვის სწორი და ოპტიმალური გადაწყვეტის გზების გამოძებნა. სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა არ და ვერ მოახერხეს შეხედულებების შეჯერება, ურბანული თვალსაზრისით შენობების ღირებულების შეფასება და აღიარება, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო. ნაგებობების დიდი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ დასანგრევად გაიწირა, რაც, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არასწორი და სრულიად მიუღებელია. ბევრ კითხვას ბადებს ისიც, თუ როგორ მოხდა არასრული (კონსტრუქციული ნაწილის გარეშე) საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

- ნაწილობრივ ან/და სრულად დანგრეულ შენობათა შორის რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა (ფხოვის ქ. N1; ფხოვის ქ. N1ა/5 ხაზინის ქ.; ათონელის ქ. N20; ათონელის ქუჩა N20/9 ხაზინის ქ.; ფურცელაძის ქ. N16/1 თაბუკაშვილის ქ.; ათონელის ქ. N21; ათონელის ქ. N17; ფურცელაძის ქ. N22/18 ათონელის ქ.). შესაბამისად, გაუგებარია, როგორ გასცა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა ნებართვა მათ ნაწილობრივ ან სრულ დემონტაჟზე.

- მიუხედავად იმისა, რომ დანგრეული შენობების ნაწილს არ ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ისინი თავიანთი მასშტაბითა და სტრუქტურით უბნის ფონური განაშენიანების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენდნენ, ამიტომ უდავოდ შესანარჩუნებელ-აღსადგენ შენობათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ და დაუშვებელი იყო მათი დემონტაჟი. ამ ჭრილში მრავალი კითხვის ნიშანი ჩნდება როგორც პროექტანტების, ისე გადაწყვეტილების მიმღები პირების კომპეტენციასთან მიმართებით.

- საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ინჟინერ-კონსტრუქტორების გარკვეული ნაწილი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაძლიერებისა და შენობების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად კონსტრუქციული გამაგრების პროექტის მომზადებისას, ძირითადად მიმართავს ბოლო პერიოდში გავრცელებულ მეთოდს, რაც გულისხმობს ხშირ შემთხვევაში აქტიურ და მსხვილმასშტაბიან კონკრეტულ საინჟინრო ღონისძიებებს, ლითონის მძლავრი კონსტრუქციებისა და რკინა-ბეტონის გამოყენებით. ასეთ უხეშ ჩარევას, როგორც წესი, ისინი საქართველოს მთავრობის N41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებით ასაბუთებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილება შეეხება მხოლოდ ახალ მშენებლობას და საერთოდ არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

- ორბელიანის მოედანზე ფართომასშტაბიანი დემონტაჟის განხორციელებისას, ასევე ახალი შენობების საძირკვლისათვის მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში, როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, გამოვლინდა არქეოლოგიური ფენები, რაც ფრთხილად გახსნას, შესწავლასა და

დაფიქსირებას საჭიროებდა. სამუშაოს გაჭიანურების საშიშროების გამო, მოხდა ამ ფაქტების გასაიდუმლოება და დამალვა, კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა, თბილისის ამ უძველეს უბანში არ განხორციელდა არც შესწავლა-დაფიქსირება და არც არქეოლოგიური ზედამხედველობა. შესაბამისად, შეუქცევადად განადგურდა, დაიკარგა ძვირფასი და მნიშვნელოვანი არტეფაქტები და ისტორიული ფენები.

ამჟამად ორბელიანის მოედანზე, სობჩაკის, ფხოვის, ფურცელაძისა და ათონელის ქუჩებზე მიმდინარეობს ახალი შენობებისთვის რკინა-ბეტონის კარკასების მოწყობის, ხოლო ნაგებობების ნაწილზე - ფასადების რეაბილიტაციის სამუშაო.

შეზღუდულ პირობებში ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

ათონელის ქუჩა N31/2 - N2 ხიდის ქუჩა ეზოსპირა ფასადზე მიმდინარეობს შუშაბანდების რესტავრაცია და დაზიანებული ფრაგმენტების შეცვლა. ამ სამუშაოს ფარგლებში მოიხსნა ფანჯრებისა და დარაბების საღი ალათები და ჩარჩოები (იხ. სურ. 4), რაც იცვლება ახლით. მოსახლეობის მიერ რეაბილიტაციამდე თვითნებურად დამონტაჟებული ფანჯრის ლითონ-პლასტმასის ალათები რამდენიმე ადგილზე დატოვებულია (იხ. სურ. 1; 2).

სურ. 1.

სურ. 2.

ასევე, მიმდინარეობს შუშაბანდების ძველი ჭვირული ელემენტების აღდგენა და დაკარგულის ჩანაცვლება ახლით (იხ. სურ. 3; 5).

სურ. 3.

სურ. 4.

სურ. 5.

შენობის ფასადებიდან მოიხსნა ძველი ნალესობა და კედლების სიბრტყეების არმირების შემდეგ თავიდან შებათქაშდა და გაილესა. თვალშისაცემია, რომ ახალი ნალესობა უფრო სქელია (უხეშად

არმირების გამო) და ფასადებზე არსებული ძველი კარნიზების ნიშნულებს სცდება. ამიტომ ამჟამად მიმდინარეობს ძველი კარნიზების მომტვრევა და ახალი, წინასწარ დამზადებული თაბაშირის კარნიზის ფრაგმენტებით ჩანაცვლება (იხ. სურ. 6; 7; 8; 9; 10).

გარდა ამისა, ხიდის ქუჩაზე გამომავალ ფასადზე, პირველ სართულზე, კედლისშორისებზე ბაზალტის თლილი ქვის ბლოკებით ამოყვანილი პილასტრები, ღიობების მოჩარჩოებისა და ფასადის არმირების შემდეგ, ცემენტის სქელი ნალესობით იფარება. დარღვეულია კედლის ნიშნულები, რაც სრულიად ცვლის ფასადის ავთენტურ მხატვრულ იერსახეს. სარეაბილიტაციო სამუშაო უხარისხოდ და თვალშისაცემი ხარვეზებით მიმდინარეობს (იხ. სურ. 11; 12).

სურ. 6 .

სურ. 7.

სურ. 8.

სურ. 9.

სურ. 10 .

სურ. 11.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს მოხატული და ჭედური ელემენტებით გაფორმებული სადარბაზო, რომელიც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და სასწრაფო რესტავრაციას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, სადარბაზოს ფართში სარეაბილიტაციო სამუშაო ჯერ დაწყებული არ არის (იხ. სურ. 13).

სურ. 12.

სურ. 13.

ათონელის ქუჩა N29 - N29/1 - N29/8 - N27 - N23 - N23/7-ში, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლების წინააღმდეგობის გამო, მოხდა აღნიშნული შენობების ვიზუალური დათვალიერება შორი დისტანციიდან. ფასადებიდან მოხსნილია ძველი ნალესობა, ლითონის ჭედური მოაჯირები და დეკორატიული ელემენტების დიდი ნაწილი, რაც ჩანაცვლებულია თაბაშირის ახალი დეტალებით. უკვე შეცვლილია კარ-ფანჯრების ძველი ალათები ჩარჩოებით და აივნების ხის დეკორი. მიმდინარეობს არმირების შემდეგ ცემენტით შელესილი ფასადების დაგრუნტვა და შესაღებად მომზადება (იხ. სურ. 14; 15; 16; 17; 18; 19; 20).

სურ. 14.

სურ. 15.

სურ. 16.

სურ. 17.

სურ. 18.

სურ. 19.

სურ. 20.

უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში სრულიად დარღვეულია მშენებლობის ორგანიზების და სამუშაოს წარმოების თანმიმდევრობა, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს ვადებსა და ხარისხზე. კერძოდ, შენობების ნაწილზე კონსტრუქციული გამაგრებისა და ფასადის შელესვის სამუშაო დამთავრებული არ არის, თუმცა, ხის აივნის დეტალები უკვე დამონტაჟებული, დაგრუნტული და შეღებილია (იხ. სურ. 19; 20; 21; 22; 23).

სურ. 21. *სურ. 22.* *სურ. 23.*

ათონელის ქუჩა N27-სა და ათონელის ქუჩა N23-ში მასშტაბური სამშენებლო სამუშაო ჯერ დაწყებული არ არის. ამჟამად მიმდინარეობს ფასადიდან ნალესობის მოხსნა. თუმცა, ფოტოდანაც კი აშკარაა, რომ ძველი ნალესობა და ფასადის დეკორი ძირითადად კარგ მდგომარეობაშია და მისი მთლიანად მოხსნა აუცილებლობას არ წარმოადგენს (იხ. სურ. 24; 25; 26).

სურ. 24. *სურ. 25.* *სურ. 26.*

სამშენებლო მოედანზე არსებულ სხვა შენობებზე მიმდინარე სამუშაოს დათვალიერება ვერ მოხერხდა, თუმცა, წარმოდგენილი ფოტომასალიდან აშკარად ჩანს, რომ ტერიტორიაზე გრანდიოზული მშენებლობაა გაჩაღებული და ძველი შენობების კვალიც კი აღარ არის შემორჩენილი (იხ. სურ. 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38).

სურ. 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38.

ასევე, ვერ მოხერხდა ოთხი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობის დეტალური ვიზუალური დათვალიერება. მათი მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეულია, ესენია: ათონელის ქუჩა N17; ფურცელაძის ქ. N16/1 თაბუკაშვილის ქ; ფურცელაძის ქ. N18/22 ათონელის ქ; ათონელის ქ. N21. ფონდის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე „ტფილისის ჰამქრის“ ექსპერტთა ჯგუფმა ამ ობიექტებზე დეტალური ფოტოფიქსაცია განახორციელა და, უდავოა ის ფაქტი, რომ ძეგლების თუნდაც ნაწილობრივი დემონტაჟის, გადაწყობის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. სავარაუდოდ, აღნიშნული გადაწყვეტილება მომიჯნავე ტერიტორიებზე დაგეგმილი მასშტაბური მშენებლობების გამო იყო მიღებული (იხ. სურ. 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47).

სურ. 39; 40; 41; 42; 43; 44; 45; 46; 47;

მონიტორინგის პროცესში გაირკვა, რომ ალექსანდრეს ბაღის (ამჟამად „9 აპრილის ბაღი“) ტერიტორიაზე კომპანია „ანაგი“ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა, თუმცა, ვერც ადგილზე მომუშავე პერსონალისგან და ვერც თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდიდან ვერანაირი განმარტების მიღება ვერ მოხერხდა (იხ. სურ. 48; 49).

სურ. 48.

სურ. 49.

გამოვლენილი პრობლემები

ზემოაღნიშნულ ორ არეალში ფონდის მიერ რესტავრაცია-რეაბილიტაციისთვის შერჩეული ნაგებობების უმეტესობა მთლიანად განადგურდა, განხორციელდა მათი სრული დემონტაჟი.[5]

დარჩენილი ობიექტების ნაწილს მოცულობის დიდი ფრაგმენტები მონგრეული აქვს.[6] ორივე უბანში მხოლოდ შენობების მცირე რაოდენობა გადაურჩა ნგრევას, თუმცა, მათზე სარესტავრაციო სამუშაო ხშირ შემთხვევაში უხარისხოდ, მნიშვნელოვანი დანაკარგებითა და ძეგლთა დაცვის პრინციპების დარღვევით მიმდინარეობს.

გუდიაშვილისა და ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაწილობრივ ან/და სრულად დანგრეულ შენობათა შორის მრავლადაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე

[5] ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე: ათონელის ქ. N19; ათონელის ქ. N15; ათონელის ქ. N13; ფურცელაძის ქ. N28; ფურცელაძის ქ. N26; ხაზინის ქ. N5/1ა ფხოვის ქ; ფხოვის ქ. N1; ფხოვის ქ. N3/18 ფურცელაძის ქ; ათონელის ქ. N20/9 ხაზინის ქ; ფხოვის ქ. N2/7 ხაზინის ქ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე: აბესაძის ქ. N21; აბესაძის ქ. N23; გუდიაშვილის მოედანი N8; აბო თბილელის ქ. N3; ახოსპირელის პირველი ჩიხი N3;

[6] ორბელიანის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე: ათონელის ქ. N21; ათონელის ქ. N17; ფურცელაძის ქ. N16/1 თაბუკაშვილის ქ.; ფურცელაძის ქ. N22/18 ათონელის ქ. გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე: ლერმონტოვის ქ. N2; გუდიაშვილის მოედანი N2; ახოსპირელის ქ. N7; გუდიაშვილის მოედანი N7/3 ახოსპირელის გას; ახოსპირელის პირველი ჩიხი N1/6 გუდიაშვილის მოედანი;

ობიექტები.[7] შესაბამისად, კვლევის დროს გაჩნდა ლეგიტიმური კითხვა, როგორ გასცა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ“ ნებართვა მათ ნაწილობრივ ან სრულ დემონტაჟზე.

მიუხედავად იმისა, რომ დანგრეული შენობების ნაწილს არ ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ისინი თავისი მასშტაბითა და სტრუქტურით უბნის ფონური განაშენიანების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენდა, ამიტომ უდავოდ შესანარჩუნებელ-აღსადგენ შენობათა რიცხვს მიეკუთვნებოდა და დაუშვებელი იყო მათი დემონტაჟი. ამ ჭრილში მრავალი კითხვის ნიშანი ჩნდება როგორც პროექტანტების, ისე გადაწყვეტილების მიმღები პირების კომპეტენციაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, დანგრეული შენობების ნაცვლად, რკინა-ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის გამოყენებით მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იერსახესთან მიმსგავსებული და დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული ახალი ნაგებობების მშენებლობა, რაც სრულიად მიუღებელია და ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მერიაში არსებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“ ვერ უზრუნველყოფს ფსევდოისტორიციზმისა და ფალსიფიკაციის დაბლოკვას. ასეთი მიდგომა კი სრულიად ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ მოხერხდა უშუალოდ ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მიღება, კვლევისთვის გამოყენებული იყო თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტზე ატვირთული პროექტები. გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება. კერძოდ:

- შენობები, რომლებსაც არ ჰქონდა ძეგლის სტატუსი, დაინგრა და მათ ადგილზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები რენდერის სახით წარდგენილი ესკიზის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო ნებართვის გარეშე (ათონელის ქ. N19; ათონელის ქ. N15; ათონელის ქ. N13; ფურცელაძის ქ. N26).
- რამდენიმე ობიექტზე არანაირი დოკუმენტი არ იძებნება, თუმცა, სამშენებლო სამუშაო მიმდინარეობს (ათონელის ქ. N21; ათონელის ქ. N17; ფურცელაძის ქ. N28; ფხოვის ქ. N 2/7 ხაზინის ქ.).
- საბჭოს უარის მიუხედავად, განხორციელდა ძველი ნაგებობის დემონტაჟი და ნებართვის გარეშე მიმდინარეობს ახალი მოცულობის მშენებლობა (ფხოვის ქ. N3/18 ფურცელაძის ქ.).
- ნებართვის გარეშე განხორციელდა ძეგლის სტატუსის შენობის ნაწილის დემონტაჟი. ამჟამად განხილვის პროცესშია საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც ამ ნაგებობის სხვა ნაწილის დემონტაჟს და ახალი მოცულობის ჩასმას გულისხმობს (არქ. ალ. ზალცმანი, ფურცელაძის ქ. N16/1 თაბუკაშვილის ქ.).
- საპროექტო დოკუმენტაცია ფონდის მიერ არასრულყოფილად იყო წარდგენილი, ამიტომ არქიტექტურის სამსახურის მიერ გაიცა „პირობადადებული“ ნებართვები ხარვეზების გამოსწორების ვადების მითითებით (ათონელის ქ. N20; ათონელის ქ. N20/9 ხაზინის ქ.; ფხოვის ქ. N1; ფხოვის ქ. N1ა/5 ხაზინის ქ.; ათონელის ქ. N18/22 ფურცელაძის ქ.).
- საპროექტო დოკუმენტაციის უმეტესობას კონსტრუქციული გამაგრების პროექტი არ აქვს, რაც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება.
- ფხოვის ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულები ეკუთვნოდა სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს, ხოლო ვეკუას ქ. N3-ში მდებარე სკვერი კი - რეკრეაციულ ზონა 2-ს. პროექტანტი არქიტექტორის მოთხოვნით, მოხდა ზონების ცვლილება და ყველა ნაკვეთი საზოგადოებრივი საქმიანი ზონის ფარგლებში მოექცა. შესაბამისად, მოხდა კოეფიციენტი K2-ის

[7] ათონელის ქ. N20; ათონელის ქ. N20/9 ხაზინის ქ; ათონელის ქ. N21; ათონელის ქ. N17; ფურცელაძის ქ. N22/18 ათონელის ქ; ხაზინის ქ. N5/1ა ფხოვის ქ; ფხოვის ქ. N1; ფურცელაძის ქ. N16/1 თაბუკაშვილის ქ; აბესაძის ქ. N21; აბესაძის ქ. N23; გუდიაშვილის მოედანი N8; აბო თბილელის ქ. N3; ახოსპირელის პირველი ჩიხი N3; ლერმონტოვის ქ. N2; გუდიაშვილის მოედანი N2; ახოსპირელის ქ. N7; გუდიაშვილის მოედანი N7/3 ახოსპირელის გას; ახოსპირელის პირველი ჩიხი N1/6 გუდიაშვილის მოედანი;

გაზრდა (ფხოვის ქ. N2 - K2 გაიზარდა 1,1-დან 2,5-მდე; ფხოვის ქ. N3 - ამჟამად ცარიელ ნაკვეთისთვის K2 განისაზღვრა 4,6-ით; ფხოვის ქ. N3/18 ათონელის ქ. - K2 გაიზარდა 2,4-დან 3,4-მდე; ფხოვის ქ. N1ა/5 ხაზინის ქ. - K2 გაიზარდა 1,5-დან 1,8-მდე; ხოლო ვეკუას ქ. N3-ში მდებარე სკვერისთვის, ყოფილი რეკრეაციული ზონისთვის - K2 გახდა 1,7; მერიის საიტზე არსებული ინფორმაციით, ვერ მოხერხდა იმის დაზუსტება, კოეფიციენტის ცვლილება მოთხოვნილი იყო ფონდის მიერ გაცემული საპროექტო დავალებით თუ არქიტექტორის პირადი შეხედულებით). აღნიშნული ცვლილება საბჭოსა და მერიის თანხმობით განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვნად უკვე შეცვალა არსებული გარემო. ძველთან შედარებით გაიზარდა მშენებარე ობიექტების გაბარიტები და სიმაღლე, რაც თავისთავად გამოიწვევს განაშენიანების მასშტაბის ცვლილებას. ეს კი ქალაქის ისტორიულ ნაწილში ყოვლად დაუშვებელია.

შექმნილი რეალობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი

არსებული პრობლემების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია იმ გამომწვევი მიზეზების განზოგადება, რომლებიც მთლიანად დაკავშირებულია თბილისის ისტორიული ნაწილის, მისი კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და ადმინისტრირების ფუნდამენტურ ხარვეზებთან. თბილისის ისტორიული ნაწილის ინსტიტუციური ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის სწორ მართვას და ვერც მის გაუმჯობესებას მომავალში.

ინსტიტუციური პრობლემები

2015 წლის 2 აპრილს „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა საკულტო-რელიგიური, საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემა, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმება, გაცემული ნებართვის საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღება, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლი.“

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამშენებლო, რეაბილიტაციისა და რესტავრაციის პროექტების განხილვისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გარდა, ფაქტობრივად, მოხდა თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის, მოვლა-პატრონობისა და განვითარების საკითხების დელეგირება ქ. თბილისის მერიაზე.

გადმობარებული პასუხისმგებლობის და უფლება-მოვალეობების მიუხედავად, მერია, თავის მხრივ, არასწორად წარმართავს პროცესს, არ იღებს თავის თავზე იმ ვალდებულებებს, რომლებიც დელეგირების საფუძველზე დაეკისრა. მუნიციპალიტეტის სტრუქტურაში არ შექმნა ძეგლთა დაცვითი ინსტიტუციები - სამსახური, დეპარტამენტი ან, თუნდაც, განყოფილება, რომელიც განსაზღვრავდა ძეგლთა დაცვის პრიორიტეტებს და სტრატეგიას, პასუხისმგებელი იქნებოდა თბილისის კულტურულ მემკვიდრეობაზე, იმუშავებდა ძეგლთა დაცვის მიმართულებით, ჩაატარებდა შესაბამის კვლევებს, გამოავლენდა პრიორიტეტებს, დაამუშავებდა ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გეგმას და აღდგენა-რესტავრაციის სწორ სახელმძღვანელოებს, ასევე, მონიტორინგსა და ზედამხედველობას გაუწევდა ფონდის ან/და სხვა შემსრულებლის მიერ წარმოებულ რეაბილიტაციის პროცესს. ამჟამად

მერია არ ერევა თბილისის ისტორიულ ნაწილში სამუშაოების დაგეგმვაში, არ ახორციელებს წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლს. ყველა ეს ფუნქცია და გადაწყვეტილების მიღების უფლება გადააბარა ფონდს, რომელსაც ასევე არ აქვს სტრუქტურაში შესაბამისი რგოლი, ხოლო შტატში არ ჰყავს ძეგლთა დაცვის არც ერთი სპეციალისტი ან/და არქიტექტორ-რესტავრატორი.

მუნიციპალიტეტის მიერ თბილისის ისტორიულ ნაწილში ძეგლთა დაცვითი პროექტების არასწორად წარმართვა იმით არის განპირობებული, რომ მერიაში არ არის ძეგლთა დაცვითი სამსახურები და თბილისის განვითარების ფონდზეა გადატანილი იმ ტიპის დატვირთვა და პასუხისმგებლობა, რომლის კომპეტენციაც ფონდს არ გააჩნია. ამასთან, ფონდი ითავსებს ბევრ სხვადასხვა ფუნქციას, თუმცა, ვერ ახორციელებს, ვერ უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და სწორ მართვას. მუნიციპალიტეტის მხრიდან კი, არ ხორციელდება ფონდის საქმიანობის მონიტორინგი და შესაბამისი კონტროლი.

თუკი თბილისის განვითარების ფონდს დაეკისრება მენეჯერულ ფუნქციაზე მეტი უფლებამოსილება, მაშინ ის უნდა გაძლიერდეს, როგორც ძეგლთა დაცვითი ერთეული, ჩამოყალიბდეს დამატებითი ინსტიტუცია - ძველი თბილისის დეპარტამენტი, რომლის საქმიანობაში წინა პლანზე წამოიწევს ძეგლთა დაცვითი პრიორიტეტები და რომელიც განახორციელებს ქალაქის ისტორიული ნაწილის კვლევას, იმუშავებს მისი შენარჩუნებისა და სწორი რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესის უზრუნველყოფაზე. მერია კი, თავის მხრივ, უნდა აბალანსებდეს, მონიტორინგს უწევდეს და აკონტროლებდეს ფონდის საქმიანობას. ამჟამად პროცესი გაუმჭვირვალია და კონტროლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს.

თბილისის ისტორიული ზონა მთელი ქალაქის ტერიტორიის მხოლოდ 4%-ს შეადგენს, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 1768 ობიექტია აღრიცხული. წლების განმავლობაში მერიის მხრიდან არ და ვერ მოხერხდა სათანადო ქალაქგეგმარებითი რეგლამენტის, სპეციფიკური რეგულაციების, რესტავრაცია-რეაბილიტაციის სახელმძღვანელო დოკუმენტის დამუშავება და შემოღება, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის ამ მცირე მონაკვეთის სწორად მართვას და განვითარებას, დაცვასა და აღდგენას.

ამჟამად, მერიის არქიტექტურის სამსახურში არსებული „ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება“ მხოლოდ ნებართვის გამცემ სტრუქტურად ჩამოყალიბდა, სადაც კომპეტენტური სპეციალისტების დეფიციტია. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელ არქიტექტურის სამსახურში არ მოიძებნება არც არქიტექტორ-რესტავრატორი და არც ინჟინერ-კონსტრუქტორი, რომელთა არსებობაც მსგავს სამსახურში აუცილებელი პირობა უნდა იყოს და რომლებიც, ძეგლთა დაცვითი პრინციპების ჭრილში, შეაფასებდნენ და შესაბამის დასკვნას მოამზადებდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებზე ნებართვის მაძიებელ პროექტზე. ფორმალურად, ამ ფუნქციის შემსრულებლად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო მოიაზრება, თუმცა, ცხადია, რომ საბჭო ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს.

პრობლემები საბჭოსთან მიმართებით

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“, რომელსაც ისტორიულ ზონაში საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა ევალება, უმეტესად საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულებასა და არაკომპეტენტურობას ავლენს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- საბჭო კვირაში ერთხელ იკრიბება და ხშირად აბსოლუტურად არაადეკვატურ და გაუგებარ გადაწყვეტილებას იღებს. ფაქტობრივად, მას უწევს დროის მცირე მონაკვეთში დიდი

რაოდენობით პროექტების განხილვა (50-60). ამასთან, შეუძლებელია ერთ დღეში პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა.

- დელეგირების პროცესში არ მოხდა იმის უზრუნველყოფა, რომ საბჭო დაკომპლექტდეს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. ამის ნაცვლად, საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ახალი დებულებით, ორგანიზაციული პარიტეტის საფუძველზე. შედეგად, ე.წ. საზოგადოებრივი საბჭოს უმრავლესობას ჩინოვნიკები წარმოადგენენ. ამასთან, იმ მცირე გამონაკლისის შემთხვევაში, როცა საბჭოს წევრად დარგის ექსპერტი გვევლინება, ხშირად ეს ექსპერტები აქტიურად, პროფესიულად არიან დაკავშირებული სამშენებლო-სარესტავრაციო საქმიანობასთან, რაც აშკარა ინტერესთა კონფლიქტზე მიუთითებს.
- კანონის შესაბამისად, საბჭო პროფესიულ-საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმია. მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, მის წევრებს არ აქვთ ანაზღაურება. საბჭოს დასკვნა სარეკომენდაციოა და, შესაბამისად, წევრებს არ გააჩნიათ არანაირი იურიდიული პასუხისმგებლობა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, საბჭო ვერ უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის და ადეკვატურ შეფასებას.

სტრატეგიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები

ფონდის მიერ წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოს კვლევის პროცესში სხვადასხვა პრობლემასთან ერთად გამოვლინდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის არაერთი ფაქტი. ასევე დაფიქსირდა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის, არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის ევროსაბჭოს კონვენციის (გრენადის კონვენცია, 1985წ.), ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ საერთაშორისო ქარტიის (ვენეციის ქარტია), ისტორიული ქალაქებისა და ურბანული არეალების საერთაშორისო ქარტიის (ვაშინგტონის ქარტია, 1987წ.) დარღვევის ფაქტებიც.

2015 წლის 2 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილება და ფუნქცია ქალაქ თბილისის მერიამ მთლიანად ააიპ თბილისის განვითარების ფონდს გადააბარა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების დროს ეყრდნობა მისივე დაკვეთით განხორციელებული კვლევისა და კონცეფციის შედეგებს, რომელსაც აშკარად არ აქვს გამოკვეთილი ძეგლთა დაცვის პრინციპები. იმის გამო, რომ ფონდი ოპერირებს ფაქტობრივად ძეგლთა დაცვითი ინსტიტუციური და ადმინისტრაციული სისტემის გარეშე, მისი სტრატეგიის ფოკუსი არ არის ძეგლთა დაცვაზე ორიენტირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, თბილისის ისტორიული ნაწილისთვის არ არსებობს დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, თუმცა, საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საკმარის დებულებებს იძლევა იმისთვის, რომ, სურვილის შემთხვევაში, აქ სწორი მეთოდოლოგიური პროცესი წარიმართოს.

საპროექტო სამუშაოებზე ფონდის მიერ გამოცხადებული ტენდერები უმეტესწილად გაუმჭვირვალად და დაფარულად მიმდინარეობს. ასევე, ბევრ კითხვას ბადებს საპროექტო ორგანიზაციების შერჩევის მიზნით ჩატარებული კონკურსების შედეგები. ხშირია ერთ პირთან (ორგანიზაციასთან) მოლაპარაკების და საბიუჯეტო თანხების არასწორად განკარგვის შემთხვევები. შედეგად, თბილისის ისტორიულ ნაწილში პროექტების ავტორების უმეტესობა არ არის არქიტექტორ-რესტავრატორი და არ იზიარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას. შესაბამისად, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ნაწილი მათი მხრიდან აღქმულია, როგორც დიდი სამშენებლო პოლიგონი სრულიად შეუსაბამო რკინა-ბეტონის ახალი შენობებისთვის.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საპროექტო ჯგუფების ინჟინერ-კონსტრუქტორების გარკვეული ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაძლიერებისა და შენობების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად კონსტრუქციული გამაგრების პროექტის მომზადებისას, ძირითადად, მიმართავს ბოლო პერიოდში გავრცელებულ მეთოდს, რაც გულისხმობს ხშირ შემთხვევაში აქტიურ და მსხვილმასშტაბიან კონკრეტულ საინჟინრო ღონისძიებებს, ლითონის მძლავრი კონსტრუქციებისა და რკინა-ბეტონის გამოყენებით. ასეთ უხეშ ჩარევას, როგორც წესი, ისინი საქართველოს მთავრობის N41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებით ასაბუთებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დადგენილება შეეხება მხოლოდ ახალ მშენებლობას, საერთოდ არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და მისი გამოყენება თბილისის ისტორიულ შენობებზე სრულიად დაუშვებელია.

არქეოლოგიური თვალსაზრისით, მეთოდოლოგიურ პრობლემებთან გვაქვს საქმე ორბელიანის მოედანზე ფართომასშტაბიანი დემონტაჟის განხორციელებისას და, ასევე, ახალი შენობების საძირკვლისთვის მიწის სამუშაოების წარმოების პროცესში. როგორც საიასთვის გახდა ცნობილი, გამოვლინდა არქეოლოგიური ფენები, რაც ფრთხილად გახსნას, შესწავლასა და დაფიქსირებას საჭიროებდა. სამუშაოს გაჭიანურების საშიშროების გამო, მოხდა ამ ფაქტების გასაიდუმლოება და დამალვა, კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა. თბილისის ამ უძველეს უბანში არ განხორციელდა არც შესწავლა-დაფიქსირება და არც არქეოლოგიური ზედამხედველობა. შესაბამისად, შეუქცევადად განადგურდა, დაიკარგა ძვირფასი და მნიშვნელოვანი არტეფაქტები და ისტორიული ფენები. სახეზეა კანონის უხეში დარღვევა, რასაც შესაბამისი სამსახურების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა ასევე გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზეც. „ტფილისის ჰამქრისა“ და ICOMOS საქართველოს სპეციალისტების დაჟინებული მოთხოვნით აღნიშნული ობიექტების შესასწავლად ფონდმა მოიწვია არქეოლოგები, რომლებსაც ევალებოდათ სამუშაოს ზედამხედველობა, GPS კოორდინატების დაზუსტება, ფოტოფიქსაცია, აღმოჩენის დაფიქსირება, აზომვა, შესაბამისი ანგარიშების წარმოება, მოპოვებული არტეფაქტების აღრიცხვა და დასაწყობება, შემდეგ კი მუზეუმში გადატანა. კანონის თანახმად, თბილისის ისტორიულ ნაწილში მიწის სამუშაოს წარმოებისას აუცილებელია ზემოაღნიშნული ქმედებების განხორციელება. ფონდის მხრიდან არ მოხდა შესაბამისი დაფინანსების გამოყოფა, რის გამოც არქეოლოგიური ზედამხედველობა, სამწუხაროდ, სრულფასოვნად არ განხორციელდა.

საკანონმდებლო პრობლემები

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა და არაკვალიფიციურობის დადასტურებაა ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, ფონდის კატეგორიული მოთხოვნით, რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე მუშაობა მხოლოდ მეორე ეტაპზე ხდება, არქიტექტურული ნაწილის დამუშავების შემდეგ. ფონდის მიერ გაცემულ საპროექტო დავალებებში გამიზნულად მოთხოვნილი იყო პირველ ეტაპზე მხოლოდ ფასადების რესტავრაციის პროექტის წარდგენა და მხოლოდ მეორე ეტაპზე, როცა უკვე ფიზიკური სამუშაოები დაიწყო, მოხდა ინჟინერ-კონსტრუქტორების ჩართვა. შედეგად, არქიტექტორებსა და კონსტრუქტორებს შორის ვერ შედგა სათანადო კომუნიკაცია, შეთანხმება, ვერ მოხერხდა რეაბილიტაციისათვის სწორი და ოპტიმალური გზების გამოძებნა. ბევრ კითხვას ბადებს ისიც, თუ როგორ მოხდა მერიის არქიტექტურის სამსახურის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ მიერ არასრული (კონსტრუქციული ნაწილის გარეშე) საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (მუხლი 49. „ძეგლზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა“).

საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ - მუხლი 52 - „ნებართვის მფლობელის მიერ სამუშაოთა შესრულებაზე ანგარიშების წარდგენა, სახელმწიფო კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე“ - მოთხოვნილია, რომ ნებართვის მფლობელის მხრიდან სამუშაოს წარმოების შუალედური და საბოლოო ანგარიში უნდა წარედგინოს ნებართვის გამცემ ორგანოს. სამუშაოთა ანგარიში უნდა მოიცავდეს საკითხებს სამუშაოთა მიმდინარეობის, მათი შესრულების ხარისხის, შექმნილი ან გამოვლენილი, საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი ვითარებებისა და გარემო ფაქტორების, სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ობიექტების შესახებ. ხოლო სამუშაოების მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარუდგენლობა.

ფონდის მიერ არ სრულდება კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, არ ხდება არც არქეოლოგიური და არც სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოს შესახებ ანგარიშების შედგენა და მერიისათვის წარდგენა, რომელიც, შესაბამისი ინსტიტუციური რგოლის არარსებობის გამო, ასევე არ ახორციელებს თბილისის ისტორიულ ნაწილში მის მიერვე დაფინანსებული სამუშაოს მონიტორინგსა და კონტროლს.

სპეცრეგლამენტები და სახელმძღვანელო მითითებები

თბილისის ისტორიული ნაწილის სუსტი ინსტიტუციური ჩარჩოს პირობებში სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ თბილისის ისტორიული ნაწილისთვის არ არსებობს დეტალური ურბანული რეგლამენტი, არც რესტავრაცია-რეაბილიტაციის და არც „ინ.ფილდ" დიზაინის (ახალი მშენებლობების) დეტალური სახელმძღვანელო.

დასკვნა

- დღემდე არ არის მოგვარებული მუდმივი არქეოლოგიური ზედამხედველობის საკითხი.
- არ არის წარმოდგენილი გამოვლენილი არქეოლოგიური ფენების და არტეფაქტების შესწავლისა და შეფასების წერილობითი დასკვნა.
- პრობლემურია არქეოლოგთა პოზიცია, როდესაც თვითნებურად ახარისხებენ არქეოლოგიურ ფენებსა და არტეფაქტებს უმნიშვნელო და ღირებულ ობიექტებად.
- გაურკვეველია, ჩაატარებენ თუ არა არქეოლოგები სააგენტოში გადატანილი კერამიკული მასალის რესტავრაციას.
- სარეაბილიტაციო სამუშაოების დროში გაწელვა გამოიწვია ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს პოზიციამ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საძირკვლის რკინა-ბეტონის ფილით გამაგრების შეცვლას ლენტური საძირკვლით (არქეოლოგიური ფენების შენარჩუნების მიზნით), ვინაიდან თბილისის განვითარების ფონდმა ბიუროს არ წარუდგინა საძირკვლების გამაგრების მეთოდის შეცვლის აუცილებლობის დასაბუთება.
- გუდიაშვილის მოედანზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხი „ტფილისის ჰამქრის“ და იკომოსის ეროვნული ჯგუფის მუდმივი ზედამხედველობის გამო ნაკლებად პრობლემატურია, ვიდრე - ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სამუშაოები, ვინაიდან თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენლების მიერ არ ხდება ტერიტორიაზე ექსპერტების დაშვება.
- „ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ორბელიანის მოედანზეც გამოვლინდებოდა არქეოლოგიური ფენები, თუმცა, ობიექტზე არდაშვებისა და პროცესის გასაიდუმლოების გამო, ამ ფაქტის უტყუარად დადასტურება ვერ ხერხდება.

- მისასალმებელია თბილისის მერის მოადგილეების ჩართულობა გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროცესში, რაც საგრძნობლად აადვილებს პრობლემების სწრაფ მოგვარებას.
- თბილისის განვითარების ფონდის მიერ სხვადასხვა ეტაპზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები ნეგატიურად აისახება სარეაბილიტაციო პროცესზე (მაგალითად, მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობდა კუფტინის ქუჩის კომუნიკაციების გამოცვლასაც, თუმცა, ფონდის გადაწყვეტილებით, საწარმოო სამუშაოების დროს ამ ქუჩის რეაბილიტაცია არ მოხდა. შედეგად, წელს აბესაძის ქ. N21-ის სარდაფში დგება წყალი, რაც აფერხებს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს).

რეკომენდაციები

1. აუცილებელია, მერიის სტრუქტურაში შეიქმნას ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თბილისის კულტურულ მემკვიდრეობაზე, აქტიურად ჩაერთვება თბილისის ისტორიულ ნაწილში სამუშაოთა დაგეგმვაში, დაამუშავებს სათანადო რეგულაციებს, რაც უზრუნველყოფს მის სწორ განვითარებასა და მართვას. ძეგლთა დაცვითი პრინციპების გათვალისწინებით შეიმუშავებს სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგიასა და წესებს, განახორციელებს შესაბამის კვლევებს, გამოავლენს პრიორიტეტებს, დაამუშავებს თბილისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გეგმას, განიხილავს პროექტებს. ამავე სტრუქტურაში უნდა არსებობდეს მონიტორინგის სამსახური, რომელიც, თავის მხრივ, ზედამხედველობას გაუწევს ძველი ქალაქის დაცვის ზონაში როგორც ფონდის, ისე სხვა პირის მიერ წარმოებულ სამშენებლო საქმიანობას და განახორციელებს სანებართვო პირობების კონტროლს.
2. მერიის სტრუქტურაში შექმნილი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი უნდა დაკომპლექტდეს სპეციფიკური განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე კომპეტენტური სპეციალისტებით, არქიტექტორ-რესტავრატორებითა და ინჟინერ-კონსტრუქტორებით, რომლებიც ძეგლთა დაცვითი პრინციპების ჭრილში შეაფასებენ და შესაბამის დასკვნას მოამზადებენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებზე ნებართვის მაძიებელ პროექტებზე.
3. აღნიშნული დეპარტამენტის მოვალეობაში უნდა შედიოდეს გაცემული ნებართვის საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღება, ასევე წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლი, რაც გათვალისწინებულია 2015 წლის 2 აპრილს „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით.
4. აუცილებელია, რომ მერიაში შექმნილი ძეგლთა დაცვითი ერთეულის - დეპარტამენტის მიერ დაუყოვნებლივ შეიქმნას თბილისის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გეგმა, იმის მსგავსი, რაც მსოფლიოს მრავალ ისტორიულ ქალაქს გააჩნია. ასევე, უნდა დამუშავდეს ძეგლთა დაცვის და კონსერვაციის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც განაპირობებს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, სწორ რესტავრაცია-რეაბილიტაციასა და მართვას.
5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“ უნდა დაკომპლექტდეს კომპეტენტური სპეციალისტებით, რომლებიც ძეგლთა დაცვის პრინციპების ჭრილში შეაფასებენ პროექტებს და შემდგომ, მიკერძოებისა და პირადი ინტერესების გარეშე, კანონიერ, ადეკვატურ და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებენ.
6. სამუშაო პროცესის სწორად წარმართვისათვის, საჭიროა, თბილისის განვითარების ფონდმა შეასრულოს მხოლოდ მენეჯერული საქმიანობა - ფონდის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ფინანსების მოზიდვა, განახორციელოს დაგეგმვა, ტენდერების გამოცხადება და პროცესების მართვა. ასევე, აუცილებელია, შტატში ჰყავდეს კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტები -

ძეგლთა დაცვის ექსპერტები, რომლებიც ჩაერთვებიან ყველა გადაწყვეტილების მიღებაში. ზოგადად, ფონდი უნდა დაკომპლექტდეს დარგთან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით.

7. დაუშვებელია საქართველოს მთავრობის N41 დადგენილებით დამტკიცებული „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გამოყენება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.
8. საპროექტო დავალებები კანონის შესაბამისად უნდა გაიწეროს, რათა პარალელურ რეჟიმში მოხდეს როგორც პროექტის არქიტექტურული, ისე კონსტრუქციული გამაგრების ნაწილზე მუშაობა.
9. უნდა აიკრძალოს ააიპ თბილისის განვითარების ფონდსა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის ტენდერის გარეშე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, მრავალმილიონიანი ხელშეკრულებების გაფორმება.
10. ფონდის საქმიანობა საზოგადოებისთვის უფრო ღია და გამჭვირვალე უნდა გახდეს. საპროექტო ორგანიზაციების შერჩევის დროს, აუცილებელია, რომ პროექტის ავტორები იყვნენ არქიტექტორ-რესტავრატორები და სრულად იზიარებდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სარესტავრაციო მეთოდოლოგიას.
11. მიზანშეწონილია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოსთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა დაიხარჯოს თბილისის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილ ქრესტომათიულ, მაღალმხატვრულ და განსაკუთრებული ღირებულების მქონე არქიტექტურულ ძეგლებზე, რომლებიც საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და რომელთა გადარჩენაც თბილისის ისტორიისა და არქიტექტურისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია (მაგალითად, დიუმას ქუჩა N13, ამაღლების ქუჩა N23, მეფე სოლომონ ბრძენის ქუჩა N14, კოჯრის ქუჩა N15, ფერისცვალების ქუჩა N36, ჩეხოვის შესახვევი N7, დიუმას მეორე ჩიხი N2, ისნის ქუჩა N2, ვერცხლის ქუჩა N56, არმაზის ქუჩა N27/12, ბეთლემის ქუჩა N3, ასკანის პირველი ჩიხი N4, გომის ქუჩა N5, ცაბაძის ქუჩა N6 და ა.შ.). სავალალო ვითარების მიუხედავად, სამწუხაროდ, არც მერია და არც თბილისის განვითარების ფონდი ამ შენობების აღდგენა-რესტავრაციას ჯერჯერობით არ გეგმავს. გასათვალისწინებელია, რომ რეაბილიტაციის სამუშაო დიდ ფინანსურ რესურსს საჭიროებს, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობისთვის. ამიტომ, ძეგლთა დაცვითი ამოცანებიდან გამომდინარე, უმჯობესია, დაფინანსება ამ გამორჩეული ღირებულების შენობების რეაბილიტაციასა და დეველოპერული პროექტების განხორციელებაზე გამოიყოს. ეს, თავის მხრივ, გამართლებული იქნება კომერციული თვალსაზრისით და დაეხმარება მაცხოვრებლებს, მიიღონ ეკონომიკური მოგება.